ბიზნესის განვითარება საქართველოში: გლობალიზაციის კონტექსტი

გოდერძი შანიძე
ბიზნესის და მართვის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, goderdzi.shanidze@unik.edu.ge

საკვანძო სიტყვები: *საერთაშორისო ბიზნესი; გლობალიზაცია; KOF ინდექსი; სატრანზიტო დერეფანი; საერთაშორისო კონკურენცია*
J.E.L. classification: O11, F2 DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.07

ციტირებისთვის: შანიძე გ., (2024) ბიზნესის განვითარება საქართველოში: გლობალიზაციის კონ-ტექსტი. ეკონომიკური პროფილი. ტ. 19, 2(28), გვ. 79-87. DOI: https://doi.org/10.52244/ep.2024.28.07

ანოტაცია. *ბიზნესის განვითარება თანამედროვე მსოფლიოში აქტიურად განიცდის გლობალიზაციის პროცესების გავლენას. იგი მოიცავს ეკონომიკური, ტექნოლოგიური და კულტურული ინტეგრაციის გაღრმავებას, რაც პირდაპირ აისახება სხვადასხვა ქვეყნის ბიზნეს გარემოზე. საქართველოში, როგორც მცირე და ღია ეკონომიკაში, გლობალიზაციის გავლენა განსაკუთრებით თვალსაჩინოა, რადგან საერთაშორისო ვაჭრობა, ინვესტიციები და ტექნოლოგიები მნიშვნელოვანი როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარების პროცესში. სტატიის მიზანია გაანალიზოს, როგორ მოქმედებს გლობალიზაციის პროცესები საქართველოში ბიზნესის განვითარებაზე, რა ძირითადი ტენდენციები გამოიკვეთა ბოლო წლებში და როგორია ბიზნეს სექტორის ადაპტაციის უმთავრესი სტრატეგიები. კვლევა ასევე ყურადღებას გაამახვილებს გლობალიზაციის ნეგატიური და პოზიტიური გავლენის განხილვაზე, რათა შეიქმნას მკაფიო სურათი იმ შესაძლებლობებისა და პრობლემების შესახებ, რომლებიც საქართველოს წინაშე დგას.*

შესავალი

გლობალიზაციის პირობებში საქართველოს ბიზნეს სექტორი აწყდება როგორც ახალ შესაძლებლობებს, ისე მნიშვნელოვან გამოწვევებს. შესაძლებლობებში შეიძლება მოიაზრებოდეს გლობალურ ბაზრებზე წვდომა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობა. ამავდროულად, გამოწვევებს წარმოადგენს საერთაშორისო კონკურენცია, რეგულაციების შესაბამისობა და გარე ეკონომიკურ ფაქტორებზე დამოკიდებულება.

თანამედროვე ვითარებაში ყველა ქვეყანა მიისწრაფვის, რომ შექმნას ძლიერი, დემოკრატიული და მყარ ეკონომიკაზე დაფუძნებული სახელმწიფო. 21-ე საუკუნის ეკონომიკა განუყოფელია გლობალიზაციისაგან. ის არის მომავალი ეკონომიკური განვითარების მნიშვნელოვანი წყარო. უნდა აღინიშნოს, რომ გლობალიზაციაზეა დამოკიდებული საზღვრების გახსნილობა. იგი რეალური საშუალებაა საქართველოსთვის, ჩაერთოს საერთაშორისო ბიზნესში და მოახდინოს საკუთარი პროდუქციის რეალიზება უცხოეთში. გლობალიზაცია აფერხებს ადგილობრივი მონოპოლიების წარმოშობასა და ასევე ზრდას. ხოლო გლობალური ინტეგრაცია ზრდის კონკურენციას ფირმებს შორის და აიძულებს ფირმებს, რომ გადარჩნენ. ახალ

გლობალურ ბიზნესში საჭიროა მიმართონ ინოვაციებს, დანერგონ და გამოიყენონ უახლესი ტექნოლოგიები და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

გლობალიზაციის პროცესების სწორი მართვა და ბიზნესის ეფექტიანი განვითარება კრიტიკულად მნიშვნელოვანია მდგრადი ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად.

გლობალიზაციის ინდექსის თანამედროვე გამოთვლის მეთოდებში, მანამდე არსებულ საკითხებთან ერთად, ითვალისწინებენ: პოლიტიკას, სოციალურ მდგომარეობას, კულტურულ და გარემოს დაცვის საკითხებსაც. გლობალიზაციის ერთ-ერთი ინდექსი, რომელიც ზომავს სამ მაჩვენებელს: ეკონომიკას, სოციალურ მდგომარეობასა და პოლიტიკას არის „KOF ინდექსი". ერთიან KOF ინდექსში ეკონომიკური გლობალიზაციის ხვედრითი წილი 37%-ია, სოციალური გლობალიზაცის – 37%, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციისა - 26% (ხორგუაშვილი, 2023)

გლობალიზაციისთვის დამახასიათებელია ახალი ტიპის საერთაშორისო ბიზნეს ურთიერთობები მსოფლიოში. ყველა ქვეყანა უნდა ეცადოს, რომ გლობალიზაციის უპირატესობები გამოიყენოს და ასევე თავი დაიცვას მისი უარყოფითი ზემოქმედებისგან. მისთვის უცხოა ეროვნულობა და პრიორიტეტს აკეთებს უნივერსალურობაზე.

ინდექსის თანახმად, საქართველო გლობალიზაციის დონით მსოფლიოში 53-ე ადგილზეა 70.3 ქულით, ცალკე აღებული ეკონომიკური გლობალიზაციით კი ქვეყანას 30-ე ადგილი უჭირავს (Forbes Georgia, 10.01.2024). გლობალიზაციის საერთო დონით 53-ე ადგილი იმით არის განპირობებული, რომ სოციალური გლობალიზაციით საქართველო 76-ე ადგილზეა, ხოლო პოლიტიკური გლობალიზაციით – 121-ე ადგილზე (Forbes Georgia, 14.03.2024). გასულ წელს საქართველოს გლობალიზაციის ქულა 0.1-ით დაბალი, 70.2 დაფიქსირდა და ამ ქულით საქართველო მსოფლიოში ერთი პოზიციით ქვემოთ, 54-ე ადგილზე იყო (ეკონომიკის სამინისტრო, 2024). (იხ. ნახ. 1)

ნახაზი 1

საქართველოს ქულის დინამიკა გლობალიზაციის ინდექსის მიხედვით



წყარო: Forbes Georgia, 2024, https://forbes.ge/blogs/globalizatsiis-donith-saqarthvelo-

msophlioshi-53-e-adgilzea/

რეალური გლობალიზაცია გვაძლევს კარგ შესაძლებლობას საერთაშორისო ბიზნესის განვითარებისთვის. არ უნდა ვიფიქროთ, რომ ყველა ქვეყნისთვის იგი ხელსაყრელი და სარგებლის მომტანია - ზოგიერთი ქვეყანა მალევე ახერხებს გლობალურ მსოფლიოსთან ინტეგრაციას, ხოლო ზოგიერთი ამ ყველაფერს ნელი ტემპით აღწევს. ხაზი უნდა გაესვას, რომ გლობალიზაცია არ არის უპირობო გარანტი, რომ საქმიანი ურთიერთობებიდან ყველა მიიღებს სარგებელს.

ამ მოლოდინის პროცესში არ უნდა დაგვავიწყდეს ის ნეგატიური მოვლენები და შედეგები, რაც შეიძლება გლობალიზაციამ გამოიწვიოს. თანამედროვე ეტაპზე გლობალიზაციის ნეგატიური ტენდენციები გავლენას ახდენს ეროვნულ სახელმწიფოზე და ამასთანავე მთელ მსოფლიოზე. კონკრეტულად კი გახშირებული ეკონომიკური, ფინანსური, ეკოლოგიური კრიზისები და ა.შ. ჩამოთვლილი პრობლემები მსოფლიოს მრავალ ქვეყანას ეხება, მაგრამ ყველაზე მეტად იმ განვითარებადი ქვეყნებისთვისაა, რომლებიც მგრძნობიარედ რეაგირებენ საერთაშორისო რყევების მიმართ. საქართვლომ უნდა იპოვოს თავისი ადგილი და როლი მსოფლიო თანამეგობრობაში, რაც იოლი ნამდვილად არ არის გლობალური კონკურენციის ზემოქმედების პირობებში.

გარდა ნეგატიურისა გლობალიზაცია ხასიათდება პოზიტიური ტენდენციებითაც. კერძოდ, საქართველოსთვის ყველაზე მნიშვნელოვანია საერთაშორისო ბაზრებთან ახლო საქმიანი ურთიერთობა, რაც გამოიწვევს შემდგომში ეროვნული ინდუსტრიის გაუმჯობესებას და ახალი ქართული პროდუქციის შექმნას (ჩიხლაძე, უგულავა, 2023). საერთაშორისო კონკურენცია იქნება გეოგრაფიული დივერსიფიკაციისა და საექსპორტო პროდუქციის მრავალფეროვნების საწინდარი. გლობალური ბიზნესის გზების ძიება და კვლევა ქართულ კომპანიებს მისცემს შანსს შეიძინონ ინოვაციური, მმართველობითი და ტექნოლოგიური გამოცდილება. ბოლო წლების მონაცემებით საქართველოდან ექსპორტი არ განხოციელებულა/ან შემცირდა 60 ქვეყანაში. უფრო კონკრეტულად: არგენტინაში, სლოვენიაში, ინდონეზიაში, ფინეთში, ეგვიპტეში, ხორვატიაში და ა.შ. ხოლო ამ ქვეყნებიდან საქართველოში იმპორტირებულია დიდი რაოდენობის პროდუქცია, რომელიც ქვეყნისთვის დიდ სტრატეგიულ საქონელს არ წარმოადგენს (ჩიხლაძე, უგულავა, 2024).

შესაძლებელია იმპორტჩამნაცვლებელი პოლიტიკით საქართველომ ადგილობრივი რესურსების დახმარებით აწარმოოს მაღალხარისხიანი, ეკოლოგიურად სუფთა პროდუქცია საექსპორტო პოტენციალის შემდგომი გაფართოებისათვის და საგადამხდელო ბალანსის დეფიციტის შემცირებისათვის. საჭიროა გააქტიურდეს ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები უცხო ქვეყნების ბაზრებზე ეროვნული პროდუქციის შეღწევადობისა და გრძელვადიანი დამკვიდრების უზრუნველსაყოფად.

საქართველოსთვის კარგი შესაძლებლობაა სატრანსპორტო დერეფნის ფუნქციის შესრულება, დღეს უფრო საიმედოა ტურიზმისა და სატრანზიტო მომსახურების განვითარება. ქვეყნის სატრანზიტო პოტენციალის განვითარება საკმაოდ რეალისტურია და ეკონომიკური თვალსაზრისითაც სარგებლის მომტანი, თუმცა გა-

სათვალისწინებელია გარკვეული რისკები და საფრთხეები. გლობალური პრობლემების მოგვარება და მათთან დამოუკიდებლად გამკლავება რთულია. ამიტომ, საჭიროა მოხდეს ამ მიმართულებით მსოფლიოში მიმდინარე პროცესებისა და გამოცდილების გაზიარება და მათი გამოყენება ჩვენი ქვეყნის საკეთილდღეოდ (ანაკლიის პორტის...2024)

2008 წელს მომხდარმა ფინანსურმა კრიზისმა გვიჩვენა, რომ საერთო მსოფლიო გლობალური პროცესების გათვალისწინების გარეშე არ არსებობს ეროვნული ეკონომიკის განვითარება. აქედან გამომდინარე, გლობალური კანონზომიერების შესწავლა და შესაბამისად, მისი გამოყენება და გათვალისწინება ქვეყნის ბიზნესის განვითარების პროცესში ყველაზე მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. საწყის ეტაპზე, საქართველოს მიზანია მსოფლიოს ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია, რაც შესაძლებელია ბიზნეს გარემოს შერწყმით. იმისათვის, რომ ქვეყანამ დაძლიოს უმუშევრობა, სიღარიბე და ბიზნესი განვითარდეს, აუცილებელია ინსტიტუციური რეფორმები, ინვესტიციური გააქტიურება. ამისთვის კი ადგილობრივი კაპიტალი არ არის საკმარისი, ამიტომ ქვეყნის წინაშე არის ამოცანა, რომელიც გულისხმობს უცხოური კაპიტალის მოზიდვას, რათა ქვეყანაში ბიზნესის განვითარებას ხელი შეეწყოს.

ცხრილი 1-ში მოცემულია ეკონომიკური გლობალიზაციით ლიდერი ტოპ-10 ქვეყანა.

ცხრილი 1

ლიდერი ტოპ-10 ქვეყანა ეკონომიკური გლობალიზაციის მიხედვით

	ქვეყანა	ქულა
1	შვეიცარია	90.8
2	ბელგია	90.4
3	ნიდერლანდები	90.3
4	შვედეთი	89.0
5	გერმანია	89.0
6	ავსტრია	88.5
7	გაერთიანებული სამეფო	88.4
8	დანია	87.8
9	ფინეთი	87.3
10	საფრანგეთი	87.2

წყარო: Forbes Georgia, 2024, https://forbes.ge/blogs/globalizatsiis-donith-saqarthvelo-msophlioshi-53-e-adgilzea/

საქართველო უკვე დიდიხანია ჩართულია გლობალიზაციის პროცესებში და ამიტომ, აუცილებელია ამ პროცესებით მივიღოთ მაქსიმუმი, გამოვიყენოთ ყველა შესაძლო ვარიანტი, რაც ჩვენს ქვეყანას მოუტანს მეტ სარგებელს და არ ვიყოთ პასიურ მდგომარეობაში. ამისათვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და ეკონომიკური განვითარების სტრატეგიულ გეგმაში უნდა გავითვალისწინოთ აღნიშნული საკითხები, რათა ყოველი გადაწყვეტილება იყოს მიზანმიმართული, რაციონალური, და ეკონომიკურად დასაბუთებული. ნებისმიერმა ქვეყანამ და მათ შორის, საქართველომაც უნდა იზრუნოს და ეცადოს, რომ შეამციროს ეკონომიკური, ფინანსური, ეკოლოგიური და სხვა მრავალი კრიზისების წარმოშობის რისკები და სიღარიბის დონე.

უცხოური კაპიტალის მოზიდვა არ არის მარტივი საკითხი, როცა ქვეყანას არ აქვს ნავთობი და გაზი. ამიტომ ქვეყანა მიმართავს ღია ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც გამომდინარეობს იმ ქვეყნების გამოცდილებიდან, რომლებიც XX-ის 60-იანი წლებიდან განვითარების მაღალი ტემპებით გამოირჩევიან. ამ ქვეყნებში მოიაზრება, მაგალითად: ტაილანდი, სინგაპური, ჰონკონგი, რომელთა ეკონომიკური წარმა-

ტება გამოწვეულია ღია ეკონომიკური პოლიტიკით და საინტერესო, მიმზიდველი გარემოს შექმნით.

საქართველოში ბიზნესის განვითარება გლობალიზაციის კონტექსტში დინამიკური და კომპლექსური პროცესია. რომელიც მოიცავს, როგორც მნიშვნელოვან შესაძლებლობებს, ასევე გამოწვევებს.

დასკვნები

- საერთაშორისო ვაჭრობის გაფართოება და გლობალურ ბაზრებზე ხელმისაწვდომობა ხელს უწყობს ქართული კომპანიების კონკურენტუნარიანობის გაზრდას.
- რეგულაციების სტაბილურობა და გამჭვირვალობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია უცხოური და ადგილობრივი ბიზნესისთვის.
- გლობალური ეკონომიკური პროცესებისადმი საქართველოს ეკონომიკის მაღალი დამოკიდებულება ზრდის საგარეო შოკების რისკს.
- ბიზნეს სექტორი აქტიურად ცდილობს გლობალიზაციის პროცესებთან ადაპტირებას, თუმცა ხშირად რესურსების ნაკლებობა და ცოდნის დეფიციტი აფერხებს წარმატებას.
- საქართველოსთვის კარგი შესაძლებლობაა ტურიზმისა და სატრანზიტო მომსახურების განვითარება.
- ბიზნეს სექტორისთვის სასურველია ინოვაციური და ტექნოლოგიური პროექტების ხელშეწყობა, რაც ხელს შეუწყობს პროდუქციის ხარისხისა და კონკურენტუნარიანობის ამაღლებას.
- საჭიროა აქცენტი გაკეთდეს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებების ეფექტიან გამოყენებაზე, განსაკუთრებით ევროკავშირთან თანამშრომლობის ფარგლებში.
- მთავრობისა და კერძო სექტორის თანამშრომლობით უნდა შემუშავდეს სტრატეგიები, რომლებიც შეამცირებს საქართველოს ბიზნეს გარემოზე გლობალური ეკონომიკური შოკების ნეგატიურ გავლენას.

საქართველოში ბიზნესის განვითარება გლობალიზაციის პირობებში მოითხოვს როგორც შიგა პოლიტიკის გაუმჯობესებას, ასევე საერთაშორისო გამოცდილების ინტეგრაციას. საქართველოს ბიზნეს სექტორს აქვს პოტენციალი, განავითაროს ინოვაციური და კონკურენტუნარიანი მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობს ეკონომიკის მდგრად ზრდას და გლობალურ ბაზრებზე პოზიციის გამყარებას.

ლიტერატურა

1. საქართველო გლობალიზაციის ინდექსში. Forbes Georgia, 10.01.2024. URL:https://forbes.ge/blogs/globalizatsiis-donith-saqarthvelo-msophlioshi-53-e-adgilzea/ (გადამოწმებულია 30.10.2024)
2. ხორგუაშვილი ზ. (2023) ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი და მისი მნიშვნელობა. კვლევითი ინსტიტუტი Gnomon Wise. URL:https://gnomonwise.org/public/storage/publications/April2023/6LF0cwIFhTdHcjk3vcNq.pdf (გადამოწმებულია 30.10.2024)
3. საქართველო ეკონომიკური თავისუფლების რეიტინგში. Forbes Georgia, 14.03.2024. URL:https://forbes.ge/blogs/saqarthvelo-ekonomikuri-thavisuphlebis-reitingshi-9-adgilith-chamoqveithda/ (გადამოწმებულია 30.10.2024)
4. საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო. საქართველო მსოფლიო რეიტინგებში, 2024. URL:https://www.economy.ge/uploads/files/2017/reitingebi/2024/ratings_2024_geo_7_11__1.pdf (გადამოწმებულია 30.10.2024)
5. ჩიხლაძე ნ., უგულავა გ., საქართველოს ექსპორტის გამოწვევები გლობალური უსაფრთხოების რისკების ზრდის პირობებში. სა-

ქართველოს ეკონომისტთა V ეროვნული სამეცნიერო კონფერენციის „საქართველოს ეკონომიკის პოზიციონირება კონფრონტაციული გლობალიზაციის პირობებში“, შრომების კრებული. 2023. გვ. 95-113. https://doi.org/10.55896/978-9941-8-5764-5/2023-95-112

6. ჩიხლაძე ნ., უგულავა გ., (2024) საერთაშორისო ვაჭრობის თანამედროვე გამოწვევები: საქართველოს კონტექსტი (მონოგრაფია). ქუთაისი, „იობაძის სტამბა“.
7. ინტერვიუ აკად. ვლ.პაპავასთან ანაკლიის პორტის საკითხებზე. ანაკლიის პორტის პროექტში ჩინური კონსორციუმი გამოცხადდება გამარჯვებულად. რადიო თავისუფლება (29.05.2024). URL:https://www.radiotavisupleba.ge/a/32970548.html (გადამოწმებულია 30.10.2024)